

მიშენება 2022

მაგისტრანტი:

მიხეილ მაღლაკელიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე, არქიტექტურის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოთხოვნების შესაბამისად

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

სალომე ბერეჩიკიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

მადლობა

გაწეული სამუშაოსთვის და მოთმინებისთვის მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს სალომე ბერეჩიკიძეს. მისგან ბევრი სასარგებლო უნარი შევიძინე, რომლის გარეშეც ნამუშევარი არ იქნებოდა სრული.

მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს და კერძოდ არქიტექტურის კათედრის ხელმძღვანელობას საინტერესო სილაბუსის შედგენისთვის და კარგი აკადემიური გარემოს შექმნისთვის.

მადლობას ვუხდი ჩემს კურსელებს და განსაკუთრებით ელენე ედიშერაშვილს თანადგომისთვის.

აბსტრაქტი

კლიმატის ცვლილებასთან ერთად, მდგრადი განვითარების საკითხს სულ უფრო და უფრო დიდი ყურადღება ექცევა. საერთაშორისო ორგანიზაციები და წამყვანი ქვეყნების მთავრობები მიზნად ისახავენ კლიმატური ცვლილების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას, რისთვისაც ისინი სახავენ კონკრეტულ გეგმებს ამ მიზნის მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არ გააჩნია კონკრეტული ვალდებულებები საერთაშორისო საზოგადოებასთან, მდგრადი განვითარების საკითხი ადრე თუ გვიან ჩვენი ქვეყნის წინაშეც დადგება.

წარმოდგენილი ნამუშევარი ცდილობს მდგრადი განვითარების ჭრილში გაიაზროს მოძველებული, საბჭოთა საბინაო ფონდის რეკონსტრუქციის შესაძლებლობა. ნამუშევარში განხილულია მასიური ხით მშენებლობის თანამედროვე მაგალითები და მასზე დაყრდნობით შესრულებულია პროექტი. მიღებული ნამუშევარი გაანალიზებულია, გამოყენებულ სამშენებლო მასალის წარმოებაზე დახარჯული ენერჯის და ატმოსფეროში გამოყოფილი სათბურის ეფექტის მქონე აირების თვალსაზრისით. შედეგები შედარებულია არსებული შენობის ანალოგიურ მახასიათებლებთან.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი არქიტექტურა, მასიური ხით მშენებლობა, რეკონსტრუქცია, მიშენება, დაშენება, მშენებლობის გარემოზე ზემოქმედება.

Abstract

With climate change, the issue of sustainable development is receiving more and more attention. International organizations and governments of leading countries aim to bring climate change into a certain framework, for which they draw specific plans to achieve this goal. Despite the fact that Georgia does not have specific obligations with the international community, sooner or later the issue of sustainable development will be faced by our country.

The presented work tries to understand the possibilities of reconstruction of the old Soviet housing stock from the point of view of sustainable development. Modern examples of massive wood construction are discussed in the work, and the project is based on it. The resulting work is analyzed in terms of the energy spent on the production of the building materials and the greenhouse gases released into the atmosphere. The results are compared with similar characteristics of the existing building.

Keywords: sustainable architecture, mass timber, reconstruction, building extensions, environmental impact of construction³

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაგისტრანტი:

მიხეილ მაღლაკელიძე